

საქართველოს კანონი

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი 1997 წელი, გვ. 1). 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისათვის დამახასიათებელი აღნიშვნები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მ. სააკაშვილი